ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4665095

ნომერი: AR1704281

თარიღი : 01.09.2019

გაცემის თარიღი : 11.09.2019

გაცნობის თარიღი : 11.09.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინოშვილი , N 69 , (ნაკვეთი N3/22);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო სიხარულიძე პ/ნ 01024061469
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 33ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სასტუმრო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

01/09/2019 წლის AR1704281 განცხადების პასუხად, რომელშიც ითხოვთ N 01.16.01.003.022; საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე სასტუმროს განთავსების მიზნით მიწის ნკავეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას, გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N N 01.16.01.003.022 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5)-ში. სზ-5 წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

კოეფიციენტები:

კ-1 0,5 კოეფიციენტი;

კ-2 2,1 კოეფიციენტი;

კ-3 0,2 კოეფიციენტი;

საცხოვრებელი სიმჭიდროვე – ერთეული/ჰა მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები:

მინიმალური ფართობი 400 * / 500 კვ.მ

მინიმალური სიგანე 12 * / 15 მეტრი; მინიმალური სიღრმე 20 * / 25 მეტრი;

შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე ** მეტრი.

შენიშვნა: * ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისთვის

** განისაზღვრება მიმდებარე განაშენიანების შესაბამისად

ვინაიდან აღნიშნულ ზონაში ობიექტის სასტუმროს ფუნქციით დატვირთვა საჭიროებს სპეციალურ (ზონლურ) შეთანხმებას. შესაბამისად საკითხი განხილულ უნდა იქნას ურბანულ სამსახურში, რისთვისაც ახალი განაცხადი უნდა ატვირთოთ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში. ურბანულ საკითხებზე განცხადებებების რეგისტრაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ urban.tbilisi.gov.ge, შესაბამის ნომენკლატურაში კერძოდ: სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.